

ნათელა მუზაშვილი

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისათვის

ტერმინოლოგია სამეცნიერო ენის ინფორმაციული ნაწილია. ვერც ერთი დარგი, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური, გვერდს ვერ აუვლის იმ რთულ პროცესს, რომელიც გულისხმობს ზუსტი შესატყვისობის დადგენას ცნებასა და ტერმინს შორის. ტერმინოლოგიაში სიტყვათწარმოება მეტად აქტიური საშუალებაა, ამისთვის ენა არაერთ ხერხს მიმართავს.

ნასახელარი ზმნები მეორეული ზმნებია (verbes secondaires). სახელი ფორმდება ზმნად შესაბამისი აფიქსების საშუალებით [მუზაშვილი 1993: 1-8]. სახელისაგან ზმნის წარმოება მეტყველების ერთი ნაწილის გადასვლაა მეორეში. გაზმნავების პროცესს ხშირად თან ახლავს საწარმოებელი ფუძის მნიშვნელობის დაჩრდილვა, რაც სემანტიკის თვალსაზრისით იწვევს ინტერესს. ნასახელარი ზმნების შექმნა ენის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა. ქართული ენის განვითარების შესაბამისად ნასახელარი ზმნების მრავალი ახალი ფორმა იქმნება.

სამეცნიერო ტექნიკურ ლიტერატურაში ნასახელარ ზმნათა ან მათგან ნაწარმოებ მასდართა შექმნა მეტად აქტუალურია. ტრადიციულ დარგობრივ ლექსიკონებში, ჩვეულებრივ, სალექსიკონო ერთეულებად წარმოდგენილია არა ზმნური ფორმები, არამედ – მათგან ნაწარმოები მასდარები. მათზე დაკვირვებამ მრავალი საინტერესო ფაქტორი წარმოაჩინა. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით ქართულსა და მის მონათესავე ენებს ინფინიტივის კატეგორია არ აქვს და მის მაგივრობას სწევს მოქმედების სახელი, მასდარი. იგი უფრო დაკონკრეტებით გამოხატავს მოქმედების პროცესს.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში უმეტესად **ა** სუფიქსით ნაწარმოები მასდარებია, რომელთა წინ გამოვლინდება **-ებ**, **-ავ** თემის ნიშნები ან ფუძე. **-ებ** სუფიქსიანი მასდარები გარდაქცევითობის მაჩვენებელი არიან, **-ავ** სუფიქსით ნაწარმოები კი – ინსტრუმენტალისისა. მაგ.: **გაცივება** – застывание; **გამაგრება** – закрепление; **გაკვამლიანება**

– задымление; **ჩამიწება** – заземление; **გაშხეფება** – разбрызгивание; **შეორთქვლა** – подпаривание; **დამუხტვა** – зарядка; **მოწამვლა** – заряджение; **გაწებოიანება** – проклеивание და მისთ.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოდგენილ მასდართა უმეტესობა სალიტერატურო ენაში გამოყენებული ფორმებია, ნასახელარ ზმნათაგან იწარმოება და მნიშვნელობა ძირითადად შენარჩუნებულია. მაგ.: **გაყვითლება** – желтение; **განიავება** – проветривание; **დაბნელება** – затемнение; **პროგნოზირება** – прогнозирование; **დაწვრილება**, **დანამცეცება** – размельчение; **გამაგრება**, **გამყარება** – затверждение; **დაშხეფება** – душирование; **განაცრიანება** – озонение; **შენელება** – замедление; **დაგვიანება** – запаздывание და მისთ.

ახალ ტერმინთა დამკვიდრებას, რაც გარკვეულ პროცესთან არის დაკავშირებული, თან სდევს ახალი ზმნური ფორმების გაჩენა და ეს უმეტესად შეეხება სახელისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებსა და მასდარებს. მაგ.: **მესიჯი** → **დამესიჯება**; **ბარეტერი** – бареттер → **ბარეტირება** – баретирование; **ბრიკეტი** → **დაბრიკეტება** – брикетирование.

ნასახელარ ზმნათაგან ნაწარმოებ მასდარებში ხშირად გამოყენებულია სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული სახელური ნაწილი, მაგრამ გაზმნავების შემდეგ იგი სპეციფიკურ ტერმინად იქცევა. მაგ.: **გვარჯილა** → **გაგვარჯილება** – оселитрование; **გობი** → **მოგობვა** – отбортовка; **ქიმი** → **მოქიმივა** – отбортовка ; **ტორფი** → **გატორფება** – оторфение; **მუხრუჭი** → **განმუხრუჭება** – растармаживание; **წრფე** → **გაწრფეება** – спрямление; **ხაო** → **დახაოიანება** – ворсование; **ცვილი** → **გაცვილვა** – воскование; **ყელი** → **შეყელვა**, **გაყელვა** – врубание და მისთ.

ენა დინამიკური სისტემაა. ენის დინამიკური ხასიათი მით უფრო მეტი ძალისაა, როცა საქმე ეხება ლექსიკას. ნასახელარი ზმნების მასდარები ამ მხრივ მეტად საინტერესო სურათს იძლევა. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია ზმნურ ფორმათა განვითარების ისტორიისა და სემანტიკის თვალსაზრისით. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოებულია ისეთი მასდარები, რომელთაც შესაბამისი ორგანული ფორმა არ აქვთ, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი აღწერილი ფორმებისაგან იწარმოება. მაგ.: **ჯვარი** → **დაჯვარვა** – закрещение, მაგრამ არ გვაქვს **ჯვარავს** ან **იჯვარება**; **წრფე** → **გაწრფეება** – спрямление, მაგრამ არ გვაქვს **აწრფეებს** ან **წრფეედება**; **კოდი** → **კოდირება** – кодирование,

არ გვაქვს **აკოდირებს** ან **კოდირდება**. მიღებულია შესიტყვებისაგან **კოდირებას ახდენს**. **დუბლეტი** → **დუბლირება** – дублирование, არ გვაქვს **ადუბლირებს** ან **დუბლირდება**; **სოლვა** → **ჩასოლვა** – заклинивание, მაგრამ **სოლავს** არ გვაქვს.

ამგვარი მასდარების შექმნა იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელიც ძველ ქართულში შეინიშნებოდა. ძველ ქართულ ზმნურ ფუძეთა უღვლილებაში აღწერითი ფორმებისა და ორგანული წარმოების შენაცვლება საკმაოდ შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ფაქტია. ქართული ენის ისტორიის შესწავლა გულისხმობს ფონემატური სისტემების თავისებურებისა და ისტორიული ცვალებადობის, ენის სიტყვიერი მარაგის, მისი სემანტიკური მხარის განვითარებისა და, რაც მთავარია, გრამატიკული სტრუქტურის თავისებურებათა გამოკვლევას. ქართული ენის ამ მრავალფეროვან საკითხთაგან საინტერესო ფაქტია, თუ როგორ შეიცვალა აღწერითი, პერიფრაზული, ანუ ანალიზური ფორმები ორგანული, ანუ სინთეზური წარმოებით, როგორ გამოიხატა ამგვარად მორფოლოგიური წყობის განვითარება ქართულ ენაში. ეს საკითხი ისტორიული გრამატიკის ერთ-ერთ საინტერესო უბანს წარმოადგენს. ცნობილია, რომ მთელ რიგ ენებში გრამატიკული კატეგორიების გამოსახატავად საოპოზიციო ფორმებისათვის წყვილი ფუძეები ზოგ შემთხვევაში არ მოიპოვება, რის გამოც ენა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს (სუპლეტურს, აღწერითს და ა. შ.). ერთ-ერთი ასეთი გავრცელებული მოვლენა ნასახელარ ზმნათა წარმოებაა. სახელური ფუძის მქონე ზმნათაგან უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება გრამატიკული წყვილების (მაგ.: მოქმედებითი და ვნებითი, სრული და უსრული ასპექტი, აწმყო და ნამყო და ა. შ.) წარმოება. რაც უფრო ძველ ვითარებასთან გვაქვს საქმე, მით უფრო აშკარაა ნასახელარ ზმნათა დეფექტური წარმოება. ზემოაღნიშნული გამოხატულია ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოდგენილ მასდართა ფორმებში. მაგ., მხოლოდ მოქმედებითი გვარი მოეპოვება **მოოქვრა** მასდარისაგან ნაწარმოებ ზმნებს. ასეთივე სურათია **მოზელტვა** ზმნის ფორმაშიც. ფორმა **მანიპულირებას** – манипулирование მხოლოდ ვნებითი გვარი აქვს, ასევე – **კონცენტრირებას** – концентрирование; **გაელვებას** – мелькание – მხოლოდ საშუალო გვარი.

ნასახელარ ზმნათაგან ნაწარმოები მასდარული ფორმები ძირითადად ტექნიკურ ტერმინოლოგიაში სრული ასპექტის გამო-

მხატველნი არიან და საპირისპირო ფორმები ხშირად არ მოეპოვებათ. მაგ., გვაქვს: **მოოქვრა, ჩაღრუება, დაწვრილმანება, დანამცეცება, გამოსხივება, გაელვება, დამარშრუტება, გაპეწიანება** და მისთ. შეიძლება ითქვას, უასპექტო ფორმებია: **ზონდირება** – зондирование; **აერირება** – аэрировать; **ბარეტირება** – баретирование; **პერფორირება** – перфорирование; **პარკესირება** – паркесирование; **კოდირება** – кодирование და მისთ. ზემოთ დასახელებულ პირველ შემთხვევაში მოქმედების შედეგია გამოხატული, მეორე შემთხვევაში – პროცესი.

ცალკე განსახილველია სემანტიკური ველის შეცვლის საკითხი ნასახელარ ზმნათაგან ნაწარმოებ მასდარებში. მაგ.: **ჩამიწება, დამიწების** ძირითადი მნიშვნელობა არის „მიწაში ჩაფვლა“, „მოკვლა“, „სიკვდილი“. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მან ახლებური მნიშვნელობა შეიძინა და ნიშნავს ელექტროგამტარით მიწასთან შეერთებას. ასეთივეა: **მოგობვა, მოქიმვა** – отбортовка; **მოსალტვა, დასალტვა** – ошиновка და სხვ.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მასდარებს ვაკუუზნებთ იმ კომპოზიტებს, რომელთაგან ერთი კომპონენტი სახელური ნაწილია, მეორე კი – ზმნა: водоснобжение – **წყალმომარაგება**; водопоглощение – **წყალშთანთქმა**; влагосодержание – **ტენშემცველობა**; вихреобразование – **გრიგალთწარმოქმნა**; быстроедействие – **სწრაფქმედება**. აღნიშნული კომპოზიტები მიღებულია მართულმსაზღვრელიანი შესიტყვების საფუძველზე: **წყალშთანთქმა** ← წყლის შთანთქმისაგან; **ტენშემცველობა** ← ტენის შემცველობისაგან და ა. შ.

ნასახელარ ზმნათაგან ნაწარმოებ მასდარებს უნდა მივაკუთვნოთ აფიქსოიდებით წარმოდგენილი ფორმებიც. ესენია: самоокисление – **თვითყანგვა**; самоторможение – **თვითდამუხრუჭება**; доокисление – **კმაყანგვა**; самоупрочнение – **თვითგანმტკიცება**; самовоспламенение – **თვითაალება** და მისთ.

ამრიგად, ნასახელარი ზმნები ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მასდარები მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური უბანია.

ლიტერატურა

მუზაშვილი 1993 – ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

Natela Muzashvili

Terminological Word-Formation

S u m m a r y

Denominative verbs forma significant sphere in Georgian literary language. They create an important enriching source of the language. Interestingly, the formation of denominative verbs in the scientific and generally, in technical terminology. Usually, specialized Dictionaries don't represent denominative verbs, but masdar forms derived from them. These forms demonstrate noteworthy picture. Most of the denominative verbs in the technical terminology are the forms used in the literary language, which basically maintain their meaning. Eg.: **gaqvileba** – **yellowing** – желтение; **ganiaveba** – **airing** – проветривание, etc., But often the names established in a literary language gain specific terms during turning into a verb. Eg.: **gobi** „flat wooden bowl“ – **mogobva punching** – отбортовка; **cvili** „wax“ – **gacvilva** – **waxing** – воскование and others. It is important to study the denominative forms for the history of the development of verbal forms. In this respect, the forms used in technical terminology manifest interesting picture.

It is also important to study the changing the semantic field in denominative verbs and the masdar verbal forms with composites and affixes in the technical terminology.